

სახელმძღვანელო ჯანდაცვის მომსახურებებზე



სათემო აფთიაქები

ფარმაცევტებს შეუძლიათ კლინიკური კონსულტაციებისა და რეცეპტის გარეშე მედიკამენტების შეთავაზება (როზეც გადახდა მოგიწევთ) რიგი მცირე დაავადებებისთვის. თქვენ არ გჭირდებათ ვიზიტის დაჯავშნა ფარმაცევტის სანახავად, უბრალოდ მიბრძანდით, ისინი დაგეხმარებიან და პასუხს გასცემენ ნებისმიერ თქვენს შეკითხვაზე. ისინი ასევე გაწვრთნილები არიან ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესახებ რეკომენდაციების გაცემაზე.

მცირე დაავადებები

აფთიაქებში შესაძლოა მკურნალობისა და რჩევების მიღება უამრავ ზოგად მდგომარეობისა და მცირე დაავადებების შესახებ, როგორცაა:

- ტკივილები
- ხველა და გაციება
- ყურის ტკივილი
- გამონაყარი
- თვალის ინფექცია.
- ყელის ტკივილი
- გრიპი
- ცისტაიტი
- კბილები

თუ სიმპტომები მიუთითებს უფრო სერიოზულ მდგომარეობაზე, ფარმაცევტებს გავლილი აქვთ შესაბამისი მომზადება თქვენთვის საჭირო დახმარების გასაწევად.



წამლები

რეცეპტის გარეშე შესაძლებელია უამრავი წამლის შეძენა უამრავ აფთიაქში, ჯანდაცვის საწყობებსა და ასევე სუპერმარკეტებში. თუ წამლები საჭიროებს რეცეპტებს, ისინი მიიღება მხოლოდ აფთიაქებიდან.

თავშესაფრის მაძიებლებს, რომლებსაც ფინანსურად შინაგან საქმეთა სამინისტრო ეხმარება, გადაეცემათ სერთიფიკატი HC2, რათა მიიღონ სრული დახმარება ჯანდაცვის ამ ხარჯებთან დაკავშირებით. ნებისმიერს შეუძლია მიმართოს ამ მხარდაჭერისთვის, იხილეთ დამატებითი რეკომენდაცია აქ

[nhsbsa.nhs.uk/adviceotherlanguages](https://nhs.uk/service-search/pharmacy/find-a-pharmacy)

უახლოესი აფთიაქის საძიებლად ეწვიეთ: nhs.uk/service-search/pharmacy/find-a-pharmacy



ზოგადი პრაქტიკის კლინიკა (ასევე ცნობილი როგორც ოჯახის ექიმები)

თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ თერაპევტის კონსულტაცია უფასოდ ზოგადი პრაქტიკის კლინიკაში, მაგრამ უნდა დაჯავშნოთ ვიზიტი. არა გადაუდებელი ან რუტინული შემთხვევებისთვის ზოგჯერ შესაძლოა დაგჭირდეთ რამდენიმე დღის ლოდინი.

ზოგადი პრაქტიკის კლინიკაში ვიზიტის დასაჯავშნად, ჯერ უნდა დარეგისტრირდეთ. ეს შესაძლოა მოხერხდეს თქვენი მოსვლისთანავე და თქვენი ვიზიტის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, შესაძლოა იყოს დროებით საფუძველზე.

თუ თერაპევტთან დარეგისტრირება თქვენთვის სირთულეს წარმოადგენს, შეგიძლიათ დარეკოთ ინგლისის ეროვნულ

ჯანდაცვის სამსახურში ნომერზე
0300 311 22 33.

თარჯიმნები

შესაძლოა მოგეჩვენოთ, რომ უფრო იოლია ოჯახის წევრის ან მეგობრის მიყვანა თარგმანში დასახმარებლად, ჩვენ კი გირჩევთ ვიზიტის დანიშვნისას მოსთხოვოთ თარჯიმანს გამოცდილება თქვენთვის საჭირო ენაში.

კლინიკას შეუძლია ან დაჯავშნოს გამოცდილი სამედიცინო თარჯიმანი, ან გამოიყენოს ენის სახაზო სერვისი, რომელიც წარმოადგენს სატელეფონო მომსახურებას. ეს ხორციელდება იმისათვის, რომ გარანტირებული იყოს დაცული და ზუსტი თარგმანი, რათა უზრუნველყოფილი იყოს თქვენი, როგორც პაციენტის და ასევე კონსულტაციის ჩამტარებელი ექიმის უსაფრთხოება.





24-საათიანი სამედიცინო

კონსულტაცია - NHS 111

თუ გადაუდებელი სამედიცინო პრობლემა გაქვთ და არ ხართ დარწმუნებული რა უნდა გააკეთოთ, დაუკავშირდით NHS 111-ს. შეგიძლიათ დაუკავშირდეთ 24-საათიან NHS სერვისს უფასო სატელეფონო ხაზით, აკრიფეთ 111 ან ეწვიეთ 111.nhs.uk ჯანმრთელობის შესახებ უფასო ინფორმაციისა და კონსულტაციის მისაღებად.

NHS 111 ხელმისაწვდომია რეჟიმში 24/7. თქვენ პასუხობთ კითხვებს თქვენი სიმპტომების შესახებ ვებსაიტზე, ან საუბრობთ ტელეფონით სრულიად მომზადებულ კონსულტანტთან. თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ თარჯიმანი თქვენს ენაზე, რისთვისაც იძახით „ვითხოვ თარჯიმანს“.

სიტუაციიდან გამომდინარე, ისინი ან კონსულტაციას ჩაატარებენ თქვენი თვითმოვლის შესახებ სადმე მკურნალობისთვის მიმართვით, ან დაჯავშნიან შეხვედრას კლინიცისტთან, როგორცაა მედდა, სტომატოლოგი, თერაპევტი ან ფარმაცევტი.



COVID-19 აცრები

COVID-ის აცრები

ხელმისაწვდომია (უფასოდ) შესაბამისი პირებისთვის ადგილობრივი ვაქცინაციის კლინიკების მეშვეობით. იმის შესამოწმებლად, ხართ თუ არა შესატყვისი აცრაზე და იმის გასარკვევად, თუ როგორ უნდა მიიღოთ ის, ეწვიეთ:

www.nhs.uk/conditions/coronavirus-covid-19/coronavirus-vaccination/coronavirus-vaccine



თუ კლინიკაში მოდიხართ ჩაწერის გარეშე, თერაპევტთან დარეგისტრირება ან აცრის მისაღებად NHS-ის ნომერი არ გჭირდებათ. ფსიქიკური ჯანმრთელობა

სტაფორდისა და სტოკ-ონ-ტრენტის კეთილდღეობის სამსახური გთავაზობთ დახმარებასა და მკურნალობას ფსიქიკური ჯანმრთელობის მთელი რიგი პრობლემებისთვის, მათ შორის დეპრესია, მღელვარება და სტრესი. თვით მიმართვა შესაძლებელია გაკეთდეს ონლაინ ან ტელეფონით.

დარეკეთ **0300 303 0923** ან ეწვიეთ staffsandstokewellbeing.nhs.uk

გადაუდებელი ფსიქიკური ჯანდაცვა

დახმარება და მხარდაჭერა ხელმისაწვდომია 24/7 რეჟიმში.

თუ ცხოვრობთ ან მდებარეობთ ჩრდილოეთ სტაფორდში ან სტოკ-ონ-ტრენტში, დარეკეთ **0800 032 8728**.

თუ ცხოვრობთ ან მდებარეობთ სამხრეთ სტაფორდში, დარეკეთ **0808 196 3002**.

მხარდაჭერის ან დახმარების სხვა ხაზები

თუ თვითმკვლელობაზე ფიქრობთ, დაელაპარაკეთ რომელიმე სამარიელს დარეკვით **116 123**.

სტაფორდის ფსიქიკური ჯანდაცვის დახმარების ხაზი (ხელმისაწვდომია სამუშაო დღეებში 19:00-02:00; შაბათ-კვირას 14:00-02:00)

- დარეკეთ **0808 800 2234** ან მიწერეთ **07860 022821**.

თუ მნიშვნელოვნად დააზიანეთ საკუთარი თავი ან აპირებთ ამის გაკეთებას, დარეკეთ 999-ზე ან მიდით პირდაპირ სასწრაფო დახმარებაში.